თვითრეფლექსია

პრაქტიკულ დავალებაზე მუშაობის პროცესს სტრუქტურირებულად და წინასწარ დაგეგმილად მივუდექი. დავალების დაწყებამდე დავგეგმე ძირითადი ნაბიჯები: თემის გაცნობა, არგუმენტების მოძიება, და დებატების სტრატეგიის მომზადება.

თავდაპირველი გეგმა დამეხმარა მუშაობის პროცესის ორგანიზებაში და დროის ეფექტურად განაწილებაში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა (მაგალითად, ზოგი არგუმენტი უფრო დამაჯერებელი მაგალითებით შევცვალე), ძირითადი მიმართულება უცვლელი დარჩა.

დავალებაზე მუშაობის პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობდი ჯგუფის სხვა წევრებთან. ჯგუფში იყვნენ ადამიანები განსხვავებული მოსაზრებებით, რაც დამატებითი სტიმული გახდა არგუმენტების გასაძლიერებლად. სხვებთან თანამშრომლობით შევიძინე უნარი გავითვალისწინო სხვადასხვა ხედვები და შევცვალო ჩემი პოზიცია რეალური ფაქტების საფუძველზე.

ტექნოლოგიები დავალებაზე მუშაობის პროცესში ძალიან გამომადგა. გამოვიყენე ინტერნეტი მაგალითებისა და სტატისტიკური მონაცემების მოძიებისთვის, დავალების შედეგად შევქმენი პრეზენტაცია და მოკლე მიმოხილვა დებატების შედეგებზე, რომელიც ასახავდა სიღარიბის შესაძლო გავლენას ადამიანის მორალურ ფასეულობებზე. ჩემი პრაქტიკული დავალება კი შეეხებოდა თემას: „არის თუ არა სიღარიბე ადამიანის მორალური გადაგვარების ერთ-ერთი ფაქტორი“.

დავალების დაწყებამდე ვიცოდი, რომ სიღარიბეს რთული სოციალური შედეგები აქვს, თუმცა ვერ ვხვდებოდი, რამდენად ძლიერი გავლენა შეიძლება ჰქონოდა ადამიანის მორალურ ქცევაზე. მუშაობის პროცესში გავიგე: სიღარიბე იწვევს სტრესს და ყოველდღიურ ფიზიკურ/ფსიქოლოგიურ წნეხს, რაც ადამიანებს ხშირად აიძულებს არაეთიკურ ქმედებებზე; გაჭირვებულ გარემოში გაიზრდება სოციალურად უხეში ქცევების რისკი, რაც მორალური ნორმების დარღვევას იწვევს; განათლების და სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა ზრდის მორალური გადაგვარების ალბათობას.

ადამიანებს ხშირად სიღარიბე აიძულებთ მოტყუებას, ქურდობას ან სხვა მორალურად დაუშვებელ ქმედებებს, რათა თავი ან ოჯახი დაიცვან.

არგუმენტები, რომლებიც ჩემი პოზიციის დამტკიცებისათვის გამოვიყენე იყო რომ სიღარიბე იწვევს სტრესს და ფსიქოლოგიურ წნეხს, ადამიანები ხშირად იძულებულნი არიან არეთიკურ ქმედებებზე წავიდნენ, მაგალითად, მოიპარონ ან მოატყუონ, რათა თავი ან ოჯახი უზრუნველყონ. სიღარიბე ხელს უშლის განათლების მიღებას, განათლება არა მხოლოდ ცოდნის, არამედ მორალური და ეთიკური ნორმების განვითარების საშუალებაა. განათლების ნაკლებობა ზრდის მორალური გადაგვარების რისკს. დებატებისას ჩვენი სახელმძღვანელოდ „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ქურდი“ მოვიხმეთ. ამ მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, როგორ მოქმედებს სიღარიბე ადამიანის ქცევასა და მორალურ გადაწყვეტილებებზე, „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს მთავარი პერსონაჟი პლატონ სამანიშვილი კეთილსინდისიერი წყნარი, ერთი შეხედვით მშვიდი ადამიანია რომელიც არ თაკილობს მეზობელი აზნაურების შვილების მსგავსად შრომას, მაგრამ როცა ნაწარმოების ფინალს ვეცნობით შეხედულება პლატონის ადამიანურობაზე, მის მორალზე, ძირფესვიანად გვეცვლება, პლატონს სიღარიბე ჩემი აზრით ადამიანობას აკარგვინებს. ე.ი სიღარიბემ პლატონი გადააგვარა, სხვაგვარად პლატონის საქციელის ახსნა შეუძლებელია. რომ არა სიღარიბე პლატონი ალბათ სიზმარშიც ვერ შეურაწყოფდა არამხოლოდ ფეხმძიმე ქალს თანაც შინაურს და ახლობელს, არამედ სრულიად უცხო შეურაცხად ქალსაც კი.

„ქურდ“-ში სტეფანე ჩირაძე არ იბადება ამორალური. ის სიღარიბემ და შიმშილმა აქცია დანაშაულის გზაზე დამდგარ ადამიანად. აქ ჩანს, როგორ ხდება პიროვნული და მორალური დეგრადაცია გარემოებების ზემოქმედებით. სტეფანე ყოველდღიური უკიდურესი სიდუხჭირის წინაშე აღმოჩნდება. როდესაც ოჯახს საკვებიც კი არ ჰყოფნის, პიროვნება აიძულებს თვითგადარჩენას. სიღარიბე აქ მხოლოდ ფინანსური დეფიციტი არაა ის არის ემოციური და ფსიქოლოგიური დატვირთვა, რომელიც მუდმივად დაძაბულობას ქმნის და ადამიანს მორალურ არჩევანზე ზეწოლას ახდენს. სტეფანე იწყებს საკუთარი თავის აღქმას არა როგორც ზნეობრივი, პასუხისმგებლობით აღჭურვილი სუბიექტი, არამედ როგორც „ფუნქციონირებად არსებას“, რომლის მოქმედება მიზნად გადაიქცა გადარჩენა. მისი გადაწყვეტილებები აღარ ეფუძნება ეთიკას, არამედ გადარჩენის ინსტინქტს. ტეფანე ჩირაძის მოქმედებები, როგორიცაა ქურდობა ან მორჩილებისგან გადახვევა, არ არის ჩვეულებრივი ბოროტება. ისინი წარმოაჩენენ სიტუაციის აბსურდულობას: მორალური არჩევანის სიმწარე

იმდენად დიდია, რომ დანაშაული ხდება ერთადერთი გზა ოჯახისა და სიცოცხლის დაცვისთვის. აქ მორალური გადაგვარება არ არის ინდივიდუალური ხასიათის ნაკლი ან თანდაყოლილი ბოროტება. ეს არის სოციალური შედეგი, საზოგადოებრივი პირობები, უკიდურესი სიღარიბე და შიმშილი ქმნიან გარემოს, რომელიც ადამიანურ ღირსებას აბლოკავს. სტეფანე ჩირაძის მაგალითი გვაჩვენებს, რომ გარემო შეიძლება მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდეს პიროვნული ეთიკის სტაბილურობაზე.

ჯავახიშვილის ტექსტი ადასტურებს, რომ მორალური გადაგვარება შეიძლება იყოს სტრუქტურული პრობლემა, და არა მხოლოდ პიროვნული. სიღარიბე გამოიწვევს ადამიანში ისეთ ქცევას, რომლის უმეტესი ნაწილი სხვა პირობებში ვერასოდეს ჩაიდენდა.

დებატებისა და მაგალითების განხილვის შედეგად დავრწმუნდი, რომ სიღარიბე მართლაც შეიძლება იყოს ადამიანის მორალური გადაგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. გარემო პირობები, სტრესი და გადარჩენის საჭიროება ხშირად აიძულებს ადამიანს ისეთ ქმედებებზე, რომლებიც ჩვეულებრივ მორალურად დაუშვებელია. მაგალითი სამანიშვილის დედინაცვალი და ქურდი ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანების ქცევა ხშირად გარემოსა და მატერიალურ სირთულეებს უკავშირდება და არა მხოლოდ პიროვნულ არჩევანს. დავალებამ დამეხმარა უკეთ გავაზრებინო სოციალური პრობლემების გავლენა მორალურ ფასეულობებზე, ვისწავლე არგუმენტების წარმოჩენა და ჯგუფურ მუშაობაში განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება. საბოლოო შეჯამება არის ის, რომ სიღარიბე ზრდის მორალური გადაგვარების ალბათობას, მაგრამ სწორ გარემოს, განათლებასა და მხარდაჭერას შეუძლია ამ პროცესის შემცირება.

მარიამ გოჩაშვილი